დანართი №4

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 15 ივლისი-17 ივლისი, 2026

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 19 აგვისტო, 2026

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

დავით თოფურია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ეკატერინე ფიფია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თინათინ გაბრიჩიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

გულნაზი მაღრაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

2026 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი** **Caucasus International University**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** **LLC**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	**სულ: 7400 (მათ შორის, 2200 ადგილი მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე და 800 ადგილი მედიცინის ქართულენოვან პროგრამაზე)**
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: 3565 (ადგილობრივი სტუდენტები) შეჩერებული: 2996 (ადგილობრივი სტუდენტები)
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 3000 შეჩერებული: 1468
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: **379 (2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით)** მათ შორის აფილირებული: **287 (2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით)** მოწვეული: **252** სამეცნიერო: –
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	**12**
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	**2024 წლის 13 ნოემბერი**
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	**MES 1 24 0001529102; 27/11/2024**
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	**13 ნოემბერი, 2030**

სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	**სულ: 9400 (მათ შორის, 4200 ადგილი მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე და 800 ადგილი მედიცინის ქართულენოვან პროგრამაზე)**

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

მაქსიმუმ 500 სიტყვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **2026 წლის 10 ივლისის № MES 2 26 0000909957 ბრძანების** საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი 2026 წლის 15-17 ივლისს ვიზიტით იმყოფებოდა შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში“. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი განაცხადის შეფასების მიზნით სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების შემოწმება.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მტკიცებულებები, შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, კლინიკური ბაზების წარმომადგენლებს, სტუდენტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. ასევე, განხორციელდა უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე ინფრასტრუქტურის (დაწესებულების საერთო ფართი: 47067.01მ^2 ; სასწავლო ფართი: 32946.67 მ^2 ; ბიბლიოთეკა: 715,7 მ^2 ; სამეცნიერო/კვლევითი ლაბორატორიები: 1300 მ^2), მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, კლინიკური სასწავლო გარემოსა და სტუდენტური მომსახურების დათვალიერება.
შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ გარემოებების ანალიზს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას, მათ შორის: ადამიანური რესურსების საკმარისობას, კლინიკური სწავლების შესაძლებლობებს, ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობას, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობას. შეფასება განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და ეფუძნებოდა როგორც დოკუმენტურ მტკიცებულებებს, ისე ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციასა და ინტერვიუების შედეგებს.

ვიზიტი ჩატარდა საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებიდან დამატებითი გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რომლის უდიდესი ნაწილი დაწესებულებამ დამატებით წარუდგინა ესქპერტთა ჯგუფს. თუმცა, დამატებით მოთხოვნილ და ავტორიზაციის სტანდარტებში მითითებულ მტკიცებულებათა სიიდან ზოგიერთი დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი დაწესებულების მხრიდან იმ არგუმენტით, რომ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის ფორმა არ ითვალისწინებს ასეთი დოკუმენტების წარმოდგენას. ამასთან, ექსპერტთა მხრიდან დამატებით მოთხოვნილ მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის სილაბუსებთან დაკავშირებით დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა ინფორმაცია, რომ ამჟამად მიმდინარეობს 2024 წლის მდგომარეობით არსებული სილაბუსების განახლების პროცესი, რომელიც დასრულდება იმ დროისათვის, როცა უნივერსიტეტი სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარადგენს მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამას, სილაბუსებსა და აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშით გათვალისწინებულ დანართებს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა და დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილების დონე შეაფასა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, ადგილზე დათვალიერების, ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, ასევე, იმ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, რაც წარმოდგენილი იყო დაწესებულების მხრიდან და რაც ხელმისაწვდომი იყო საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მიღებული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა დასკვნა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადთან დაკავშირებით. *შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფი კონცენტრირებული იყო იმ პირობებისა და რესურსების ადეკვატურობის შეფასებაზე, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას.*

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

მაქსიმუმ 500 სიტყვა

წინა ავტორიზაციის შეფასების შემდეგ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. უნივერსიტეტმა განავითარა და გააძლიერა მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და კლინიკური რესურსები. წინა ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში უნივერსიტეტმა წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2025 წლის ნოემბერში.

ექსპერტთა ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან მიღწევად შეაფასა ის გარემოება, რომ 2026 წლის 30 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანას და იოაკიმეს სახელობის სამედიცინო ცენტრთან გაფორმებულია მემორანდუმი. ამასთან, ამავე მემორანდუმის საფუძველზე 2026 წლის 22 ივნისს დადებულია ხელშეკრულება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის შექმნას. ხელშეკრულება დადებულია 10 წლის ვადით, რომელიც ავტომატურად გაგრძელდება 5 წლის ვადით ყოველ ჯერზე იმავე პირობებით, თუ მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურული განვითარების ფარგლებში მთლიანად უნივერსიტეტში განახლდა კვლევითი და სასწავლო სივრცეები, სასწავლო ლაბორატორიებით დამატებით აღიჭურვა მედიცინის ფაკულტეტი. ამასთან, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა ინვესტიციებმა უზრუნველყო კვლევითი ეკოსისტემის მოდერნიზაცია.

რეკომენდაციების შეჯამება[1]

- *რეკომენდაცია 1*

რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში აისახოს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები, გაზრდილი კონტინგენტის პირობებში აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების, ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების ეტაპობრივი განვითარება, შესაბამისი აქტივობები, ვადები, წლიური სამიზნე მაჩვენებლები და განსაზღვრული რესურსების განაწილება (1.2).

- *რეკომენდაცია 2*

მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს დატვირთვასთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულება, განსაკუთრებით, სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის კვალდაკვალ (4.2).

- *რეკომენდაცია 3*

[1] საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოფს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის შედეგად შედგენილი დასკვნებისა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა (7.4).

რჩევების შეჯამება

- *რჩევა 1*

სასურველია, უნივერსიტეტმა განაგრძოს საერთაშორისო პარტნიორული ქსელის გაფართოება და ხელი შეუწყოს სტუდენტების, განსაკუთრებით, უცხოენოვანი სტუდენტების საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების ზრდას, მათ შორის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის გზით (5.2).

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფმა გამორჩეული პრაქტიკად მიიჩნია:

- უნივერსიტეტის მიმართ გამორჩეულად ლოიალური აკადმიური და ადნინისტრაციული პერსონალი, ასევე, სტუდენტები;
- მძლავრი პარტნიორთა წრე, რითაც უნივერსიტეტი სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ეხმარება/რეკომენდაციას უწევს დასაქმებისას და ხელს უწყობს თვითრეალიზაციაში;
- UpToDate ბაზაზე (სამედიცინო ახალი გაიდლაინების ბაზა) უფასო წვდომა სტუდენტებისა და პერსონალისთვის;
- სამეცნიერო-კვლევითი გრანტები და წახალისებები/ჯილდოები/პრემიები სტუდენტებისა და პროფესორებისთვის (მათ შორის უცხოელი სტუდენტების ჯგუფური პროექტებისთვის);
- ძლიერი კავშირები ორგანიზაციებთან სტუდენტთა პრაქტიკისა და სტაჟირებების უზრუნველსაყოფად (მათ შორის საზღვარგარეთ კლინიკური სტაჟირებებისთვის);
- სათანადოდ აღჭურვილი სიმულაციური ცენტრი;
- გამორჩეული მულტიმედია ცენტრი;
- მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით გამორჩეული კვლევითი და საგანმანათლებლო რესურსები (ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების ჩათვლით).

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

☒ *განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილი** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

☐ *განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილზე ნაკლები** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

☐ *განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **არსებული და არა მოთხოვნილი**[2] ზღვრული რაოდენობის მისაღებად.*

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

[2] იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

მაქსიმუმ 500 სიტყვა

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადზე ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნაზე (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან წერილი #MES 7 26 0001046797;13/08/2026). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული სამი რეკომენდაციიდან დაწესებულებამ გაიზიარა პირველი და მესამე რეკომენდაცია, ამასთან, წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია იმის დასადასტურებლად, რომ პირველი და მეორე რეკომენდაციის შესაბამისად უახლოეს პერიოდში დაწესებულება გეგმავს ქმედითი ღონისძიებების გატარებას (2026 წლის 31 ივლისს დადებულია ხელშეკრულება შპს „დ და გ აუდიტთან). შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები დარჩა უცვლელი.
მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება აღნიშნავს, რომ „რეკომენდაციას ვერ გაითვალისწინებს, მითუმეტეს როგორც შენიშვნას“. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში არ არის მითითებული ექსპერტების მიერ დაშვებული რაიმე უზუსტობა ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მესამე რეკომენდაციაც დარჩა უცვლელად.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია
1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ *აკმაყოფილებს* ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
შეფასების მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული საკითხები. 1.1 უსდ-ის მისია დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხედვა და მისია, რომელიც გაწერილია დაწესებულების 2025-2031 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმაში. უნივერსიტეტი თავისი მისიისა და ხედვის შესაბამისად ქმნის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ემყარება უნივერსიტეტის საქმიანობის 29 წლიან გამოცდილებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიას, მდგრადი განვითარების მიზნებს, ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითად სარეკომენდაციო დოკუმენტებს, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და წამყვანი ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებას. უნივერსიტეტის სტრატეგიული

განვითარების გეგმა ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის და განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე https://admin.ciu.edu.ge/uploads/2025_2031_tslebis_strategiuli_ganvitarebis_gegma_ksu_4def31c37b.pdf.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვა: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ხელშემწყობი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუცია, რომელიც ავითარებს ქართულ და მსოფლიო კულტურის ფასეულობებს თანამედროვე ცოდნაზე დაყრდნობით. . კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერნაციონალიზაციის გზითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობების აღზრდას, რომელთაც შეუძლიათ წვლილის შეტანა მდგრადი განვითარების გამოწვევების დაძლევაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს შემდგარი ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა რომ, მისია გაზიარებულია უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ., ხოლო სტრატეგია უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიის შესრულებას და მიზნების მიღწევას.

1.2 სტრატეგიული განვითარება

სტრატეგიული განვითარების 2025-2031 წწ. გეგმის მიხედვით სტრატეგიული განვითარების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია: თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნა და სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტი განვითარება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება; მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერა უნივერსიტეტის "მესამე მისიის" ფარგლებში; ინსტიტუციური განვითარება უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის სამი ძირითადი საყრდენი მიმართულების ეფექტურად განხორციელებისათვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადში ასახული ანალიზის მიხედვით, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის ზრდა განაპირობა მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაში განხორციელებულმა ცვლილებებმაც: კლინიკური სწავლების გაძლიერებამ და საკონტაქტო დროის ზრდამ. ამის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამა ადაპტირებულია დიდი ბრიტანეთის საბჭოსა - GMC (General Medical Council) და ამერიკის შეერთებული შტატების კომისიის - ECFMG (Educational Commision For Foreign Medical Graduates) მიერ დადგენილ სტანდარტებთან. GDC და GMC არის დიდი ბრიტანეთის საჯარო ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ სამედიცინო პრაქტიკოსთა ოფიციალურ რეესტრს და ახდენენ როგორც გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში, ასევე გაერთიანებული სამეფოს გარეთ გაცემული დიპლომების აღიარებას. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები უპრობლემოდ რეგისტრირდებიან როგორც დიდი ბრიტანეთის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების PLAB და USMLE საკვალიფიკაციო გამოცდებზე. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის მოთხოვნას უცხოელ აპლიკანტთა შორის უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები, რომლითაც ხელმძღვანელობს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდა მის ხელთ არსებული და პერსპექტული რესურსები მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის ხარისხიანი კლინიკური სწავლებით უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, 2026 წლის 30 აპრილს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანას და იოაკიმეს სახელობის სამედიცინო ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი, ასევე, ამ მემორანდუმის საფუძველზე 2026 წლის 22 ივნისს დადებული ხელშეკრულება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის შექმნას. ხელშეკრულება დადებულია 10 წლის ვადით, რომელიც ავტომატურად გაგრძელდება 5 წლის ვადით ყოველ ჯერზე იმავე პირობებით, თუ მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2026 წლის 2 ივლისის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, სადაც სუბიექტის საფირმო სახელწოდებად უკვე მითითებულია "შპს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა".

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანას და იოაკიმეს სახელობის სამედიცინო ცენტრთან უნივერსიტეტის მიერ დადებულ ხელშეკრულებას ახლავს დანართი „სამედიცინო ცენტრის მოწყობა-განვითარება, უნივერსიტეტის მიერ ექსკლუზიურად აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების მიწოდების განხორციელება“. დანართში გაწერილია სამედიცინო ცენტრის განვითარების ეტაპები - 10 წლის განმავლობაში განსაზღვრულია განვითარების 5 ფაზა (მუხლი 7), მაგალითად, პირველი ფაზა (1-2 წელი) მოიცავს: ინფრასტრუქტურის განახლება-გადაიარაღებას, ხარისხის სისტემის დანერგვას, სასწავლო სივრცეების მოწყობა-აღჭურვას, საწოლ-ფონდის ეტაპობრივ ზრდას; მეორე ფაზა (3-4 წელი) მოიცავს თანამედროვე აპარატურის დანერგვას, კვლევითი საქმიანობის გაფართოებას, საერთაშორისო პარტნიორობის განვითარებას და ა.შ.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების დროს არაერთგზის აღინიშნა, რომ კონტინგენტის გაზრდა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტრატეგიული განვითარების გეგმების მიღწევას, კერძოდ, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ფინანსურ მდგრადობასა და განვითარებას. დამატებითი შემოსავლები შესაძლებლობას იძლევა, დამატებითი თანხები მიემართოს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისკენ, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებაზე და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო განამტკიცებს უნივერსიტეტის პოზიციებს რეგიონულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმას, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული მიზნების განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებებს, პასუხისმგებელ სუბიექტებს, განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს და შეფასების ინდიკატორებს, შესრულების პერიოდს, ამოცანის შესასრულებლად განსაზღვრული აქტივობის განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ რესურსებს. (https://admin.ciu.edu.ge/uploads/2025_2027_tslebis_samoqmedo_gegma_ksu_5d41eba8d3.pdf).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით გამოკვეთილია 4 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება და შესაბამისი მიზნები. ამ მიზნებიდან და შესაბამისი ამოცანებიდან კი გამომდინარეობს 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, მაგალითად, სამოქმედო გეგმაში 2025 და 2026 წლებში განსაზღვრულია ერთ-ერთი ამოცანა, კერძოდ, ამოცანა 4.5.3 “უნივერსიტეტის დამატებითი კორპუსის მშენებლობა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის განვითარება. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად გეგმაში მითითებულია 15 მლნ ლარის ოდენობის ფინანსური რესურსი.

ინსტიტუციური განვითარება დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ახალი პროგრამების შემუშავების მეშვეობითაც. 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმაში მითითებული სტრატეგიული მიზანის 1.1 „პროგრამებში თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების ინტეგრირება და უნივერსიტეტის პოზიციონირება, როგორც ტრანსფორმაციული განათლების მიმცემი ინსტიტუცია“ ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია ამოცანა 1.1.1 „ახალი პროგრამების, მათ შორის, ერთობლივი ხარისხის ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება-დანერგვა, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ინოვაციური მეთოდები და ტრანსფორმაციული განათლების ელემენტები“.

დაწესებულების მიერ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის გაკეთება ზოგადად, შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმებს, კერძოდ, ორგანიზაციული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას: სტრატეგიული განვითარების გეგმის მეოთხე პრიორიტეტული მიმართულების-„ინსტიტუციური განვითარება უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის სამი ძირითადი საყრდენი მიმართულების ეფექტურად განხორციელებისათვის“ გათვალისწინებით დაწესებულება კონტინგენტის გაზრდას ითხოვს მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე, რაც ასევე გამომდინარეობს უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მხრიდან გაზრდილი მოთხოვნიდან. მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა უნივერსიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა თანხვედრაშია ასევე ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანთან, კერძოდ, სტრატეგიული მიზანი 4.5 “სასწავლო და სამუშაო გარემოს ეტაპობრივი განახლება და

მოდერნიზაცია”, მაგალითად, ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მოწყობა ტექნიკითა და ინვენტარით დაგეგმილია 2026 და 2027 წელს.

აღსანიშნავია, რომ 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმაში ნათლად არ ჩანს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ამოცანა და მასთან დაკავშირებული კონკრეტული აქტივობები, ცხადად გამოსაკვეთია დაგეგმილი სტუდენტური კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში უნივერსიტეტი, როგორ უზრუნველყოფს გაზრდილი კონტინგენტის პირობებში აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების, ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების ეტაპობრივ განვითარებას. ასევე, გამოსაკვეთია ზრდის განხორციელების ვადები, ეტაპები, წლიური სამიზნე მაჩვენებლები და ფაკულტეტების მიხედვით რესურსების დაგეგმილი განაწილება, რაც აუცილებელია დაგეგმილი განვითარების რეალისტურობისა და მდგრადობის შესაფასებლად.

დაწესებულება გეგმავს დამატებითი 2000 სტუდენტის ეტაპობრივ მიღებას 4 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 500 სტუდენტის მიღების პირობებში, თუმცა, კონკრეტული სამოქმედო გეგმა რომელიც გაწერილი იქნებოდა კონტიგენტის ზრდის გათვალისწინებით შესაბამის ოთხწლიან პერიოდზე ან არსებულ სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ცვლილებები მოცემულ ეტაპზე ჯერ არ განხორციელებულა. დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაწესებულება სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანას გეგმავს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის უფლების მიღების შემდგომ. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში აისახოს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები, გაზრდილი კონტინგენტის პირობებში აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების, ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების ეტაპობრივი განვითარება, შესაბამისი აქტივობები, ვადები, წლიური სამიზნე მაჩვენებლები და განსაზღვრული რესურსების განაწილება.

დაწესებულება ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით უნივერსიტეტის “მესამე მისიის” ფარგლებში. დაწესებულებამ წარმოადგინა განხორციელებული და დაგეგმილი ასეთი ღონისძიებების ფართო სპექტრის ამსახველი სია. ამ მიმართულებით აღსანიშნავია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი, რომელიც სასწავლო-სამეცნიერო, საგანმანათლებლო-შემეცნებითი და მხატვრულ-დოკუმენტური აუდიო, ბეჭდური და ვიდეო მედიაპროდუქციას აწარმოებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კონფლიქტისპირა და მაღალი რისკის მქონე რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, საგანმანათლებლო და კულტურული მხარდაჭერა. ამ კონტექსტში, უსდ-ს აქვს მრავალწლიანი, ტრადიციული პარტნიორობა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტის, მეუფე ისაიას მიერ დაარსებულ ნიქოზის ხელოვნების სკოლასთან.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შესრულების მონიტორინგის ციფრული პლატფორმა (PMP). აღნიშნულმა პლატფორმამ გააძლიერა სამოქმედო გეგმების შესრულების კონტროლის, ანგარიშვალდებულების, შედეგების ანალიზისა და შეფასების შეფასების შესაძლებლობები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების 2025 წლის ანგარიში.

სტანდარტის ცალკეული კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით მთლიანობაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, მოემსახუროს გაზრდილ სტუდენტთა კონტინგენტს. თუმცა, მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რაც ზემოთ უკვე აღნიშნულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (თვითშეფასება, ინტერვიუები, დოკუმენტები და სხვა).

- უსდ-ს მისია
- უნივერსიტეტის 2025-2027 წწ. სამოქმედო გეგმა https://admin.ciu.edu.ge/uploads/2025_2027_tslebis_samoqmedo_gegma_ksu_5d41eba8d3.pdf
- უნივერსიტეტის 2025-2031 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები
- საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები
- სამოქმედო გეგმის შესრულების 2025 წლის ანგარიში
- 2024 წლის ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანას და იოაკიმეს სახელობის სამედიცინო ცენტრთან-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა გაფორმებული მემორანდუმი
- კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანას და იოაკიმეს სახელობის სამედიცინო ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულება
- 2026 წლის 2 ივლისის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან-სუბიექტი შპს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა
- 2026 წლის 12 ივნისის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან-სუბიექტი შპს ახალშენი
- 2026 წლის 30 ივნისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან -მიწის ნაკვეთი კასპის რაიონის სოფელ აღაიანში (ზონა 67; სექტორი 07; კვარტალი 33; ნაკვეთი 044; მისამართი: რაიონი კასპი , სოფელი აღაიანი)
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: 1. თბილისი, ჩარგლის ქუჩა 73 (შენობა ნაგებობა N1-5 და N6 (მშენებარე)); 2. თბილისი, ჩარგლის ქუჩა 73 (ახალი მშენებარე კორპუსი); 2. თბილისი, ურეკის ქუცა N2
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი (დაწესებულების განაცხადი სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შესახებ).

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რეკომენდაცია 1 (კომპონენტი)1.2

- რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში აისახოს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები, გაზრდილი კონტინგენტის პირობებში აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების, ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების ეტაპობრივი

განვითარება, შესაბამისი აქტივობები, ვადები, წლიური სამიზნე მაჩვენებლები და განსაზღვრული რესურსების განაწილება.
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. *კომპონენტის ნომერი - რჩევა* ● არ გაცემულა

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა უნივერსიტეტს გააჩნია ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფს სტრატეგიულ გეგმაში ასახული მიზნებისა და აქტივობების განხორციელებას. სტრუქტურა მოიცავს კანცლერს, რექტორს, ვიცე-რექტორებსა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ამგვარი მოწყობა ხელს უწყობს შესაძლებლობას, უფლებამოსილებები ეფექტიანად გადანაწილდეს შესაბამის დონეებზე. ადმინისტრაციული აპარატის ყველა სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქცია და როლი, რომელიც უშუალო შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან. ეს გარემოება ცხადად აისახება თითოეული ერთეულის ამოცანებისა და პასუხისმგებლობების დეტალურ აღწერაში, სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში დანერგილი შესრულების ინდიკატორებისა და კონტროლის მექანიზმების არსებობა კი უზრუნველყოფს ინსტიტუციური მიზნების მიღწევის პროცესის თანმიმდევრულ და უწყვეტ მონიტორინგს. უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების შესაბამისად, ინსტიტუციას ხელმძღვანელობს კანცლერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს პარტნიორთა კრება. კანცლერი, თავის მხრივ, თანამდებობაზე ნიშნავს ვიცე-კანცლერს, რექტორს, ვიცე-რექტორებს, ასევე ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალს. რექტორის კომპეტენციაშია ფაკულტეტის დეკანების, პროგრამის ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორების დანიშვნა. პერსონალის შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობა, შერჩევის კრიტერიუმების საჯარო ხელმისაწვდომობა და საკითხის კომისიური განხილვის პრინციპი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აკადემიური პერსონალის შერჩევა-დანიშვნის პროცედურას მმართველ ორგანოებში, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა თანამშრომელთა შერჩევის წესისგან. იგი ხორციელდება ღია კონკურსისა და კომისიური

განხილვის საფუძველზე და საბოლოოდ მტკიცდება რექტორის ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლებაც რექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება, თუმცა კანდიდატთა შერჩევა ეფუძნება მათი კვალიფიკაციის შეფასებას, რომელშიც ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფისა და პერსონალის მართვის სამსახურები, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ფაკულტეტის დეკანის შერჩევის დროსაც, სადაც უშუალოდ არიან ჩართულნი რექტორი და ორივე ზემოაღნიშნული სამსახური. ადმინისტრაციულ საბჭოში შედიან: კანცლერი, ვიცე-კანცლერი, კანცლერისა და რექტორის მრჩევლები, რექტორი, ვიცე-რექტორები და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. საბჭოს წევრები ცალკე არჩევას არ ექვემდებარებიან. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნა ხორციელდება საკონკურსო წესით. კონკურსის ინიციირება ხდება პერსონალის მართვის სამსახურში, რის შემდეგაც კანცლერის ბრძანებით განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვადები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. ვაკანსია საჯაროდ ქვეყნდება დასაქმების პლატფორმებზე, ხოლო შერჩეული კანდიდატი თანამდებობას გამოსაცდელი ვადით იკავებს.

უნივერსიტეტს აქვს საფაკულტეტო საბჭო, სადაც ინკლუზიურადაა წარმოდგენილი როგორც ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი, ისე ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები (მათ შორის სავალდებულოდ, უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტი), რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალე და მრავალმხრივ პროცესს.

შესაბამისად, მმართველი ორგანოების არჩევის და დანიშვნის პროცედურები გამჭვირვალეა და შეესაბამება საკანონმდებლო სტანდარტებს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის შეუფერხებელ ფუნქციონირებას საგანგებო თუ გაუთვალისწინებელი გარემოებების დროს. მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი რეგულარულად იკვლევს თანამშრომელთა კმაყოფილებას და ამ შედეგებზე დაყრდნობით გეგმავს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამებს, რომელთა ფინანსურ მხარდაჭერასაც თავად უზრუნველყოფს. აღსანისნავია, რომ 2023 წლის მაისიდან უნივერსიტეტს მინიჭებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტი — ISO 9001:2015. დაწესებულების მენეჯმენტი თავის საქმიანობაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას. ამასთან, დაწესებულება აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა თანმიმდევრულად უჭერს მხარს ინსტიტუციის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რაც ასახულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში. ეს პოლიტიკა განსაზღვრავს არა მხოლოდ ზოგად მიმართულებებს, არამედ კონკრეტულ მიზნებსა და მექანიზმებს, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო პარტნიორობის დამყარებას, აკადემიური გაცვლის პროგრამების ხელშეწყობას, ასევე სწავლებისა და კვლევის პროცესებში საერთაშორისო პერსპექტივისა და გამოცდილების ინტეგრირებას. ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების კოორდინაციასა და მართვაში წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია, ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა შესაბამისობაში იყოს უნივერსიტეტის ზოგად მისიასთან, სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და გრძელვადიან განვითარების მიზნებთან. პრაქტიკული თვალსაზრისით, დაწესებულებამ უკვე განახორციელა არაერთი ღონისძიება საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმებისა და გაძლიერების მიმართულებით. კერძოდ, შეიქმნა და ეტაპობრივად ვითარდება პარტნიორული ქსელი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ეძლევათ საშუალება, ჩაერთონ საერთაშორისო მობილობის სხვადასხვა პროგრამაში- იქნება ეს ხანმოკლე გაცვლითი ვიზიტები, ერთობლივი კვლევითი პროექტები, თუ სასწავლო კურსების ერთობლივი განხორციელება პარტნიორ უნივერსიტეტებთან. აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობს არა მხოლოდ ინდივიდუალური მონაწილეების პროფესიულ და აკადემიურ ზრდას, არამედ ზოგადად აძლიერებს უნივერსიტეტის საერთაშორისო ხილვადობასა და კონკურენტუნარიანობას გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს დებულება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება“. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი შესაბამისი პროცესები და მათი განხორციელების პერიოდულობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცენტრალურ როლს ასრულებს ინსტიტუციური ხარისხის კულტურის განვითარებაში. ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობისა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში გამოყენების კუთხით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი ეფუძნება PDCA ციკლს (დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–იმოქმედე). ხარისხის შეფასება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები, პერსონალის (ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული) საქმიანობა, კვლევის ხარისხი, ინტერნაციონალიზაციის აქტივობები, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსები, უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელება, ასევე თავად ხარისხის მექანიზმების ეფექტურობა. ამის დასტურად წარმოდგენილია გამოკითხვების მასალები, შაბლონები და სამსახურის ანგარიშები.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება ყოველ სემესტრში და მონაცემთა დამუშავება ავტომატიზირებულია აკადემიური პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის, GONI-ის მეშვეობით, რაც ლექტორებს პირდაპირი მონიტორინგის შესაძლებლობას აძლევს. აგრეთვე, დანერგილია აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სისტემა. ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ პერსონალი კარგად იცნობს შეფასების სისტემას. პროგრამების შეფასების მექანიზმები დადასტურდა როგორც დოკუმენტაციით, ისე დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით.. რეგულარულად ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებიც, მედიცინის პროგრამისთვის კი შემუშავებულია ცალკე კითხვარები. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუების დროს დაადასტურა უკუკავშირის მექანიზმების ეფექტურობა და სტუდენტთა მოთხოვნებზე დაფუძნებული პოზიტიური ცვლილებები.

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი, რომელიც ეფუძნება რესურსების, პროგრამების სპეციფიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის კომპლექსურ ანალიზს. სასწავლო საფეხურების მიხედვით განისაზღვრება სტუდენტთა მაქსიმალური და სამიზნე რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობასა და განათლების ხარისხს. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დგინდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: სასწავლო და დამხმარე ფართის მოცულობა, აკადემიური პერსონალის რაოდენობა, აუდიტორიების ტევადობა, პრაქტიკული/კლინიკური ბაზების გამტარუნარიანობა და პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. საბოლოო ზღვრულ ნიშნულად მიიღება ამ მაჩვენებლებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რითაც უზრუნველყოფილია რესურსებზე ორიენტირებული დაგეგმვა. სამიზნე მაჩვენებლების დადგენისას ასევე მხედველობაში მიიღება რესურსული უზრუნველყოფა, სტუდენტ-პერსონალის თანაფარდობა და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები. მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში დამატებით ფასდება ლაბორატორიების, პრაქტიკული კაბინეტებისა და პარტნიორი კლინიკების გამტარუნარიანობა; სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურზე- ხელმძღვანელობის რესურსი და კვლევისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი; უცხოენოვან პროგრამებზე კი- შესაბამისი ენის მატარებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელმისაწვდომობა.

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობა რეგულარულად ექვემდებარება მონიტორინგსა და შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში. ეს შეფასება ეყრდნობა რამდენიმე ძირითადი ინდიკატორის ანალიზს- სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას, სტუდენტ/პერსონალის თანაფარდობას, ინფრასტრუქტურული რესურსების დატვირთვის ხარისხს, საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობასა და სხვა შესაბამის მაჩვენებლებს.

გაზრდილი კონტინგეტის შემთხვევაში დაწესებულების სტრუქტურა, მართვისა და ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები შესაბამისია მოთხოვნილ სტანდარტებთან.

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა ეფუძნება მყარ ინსტიტუციურ საფუძველს, რომელიც გამოხატულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ დოკუმენტში- შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსსა და პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესში. ეს დოკუმენტები ერთობლიობაში განსაზღვრავს როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის ქცევის სავალდებულო სტანდარტებს, აყალიბებს ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის პრინციპებს და ადგენს კონკრეტულ მექანიზმებს დარღვევების გამოვლენისა და მათზე რეაგირებისთვის.

კვლევითი საქმიანობის ეთიკური რეგულირების გასაძლიერებლად, 2025 წლის სექტემბრიდან ძალაშია დოკუმენტი - „სამეცნიერო კვლევების ეთიკის პოლიტიკა“. ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს ისეთი კვლევითი კულტურის დამკვიდრებას, რომელიც ეყრდნობა გამჭვირვალობის, ხარისხისა და კვლავწარმოებადობის საერთაშორისო პრინციპებს. კერძოდ, პოლიტიკა არეგულირებს ადამიანების, პერსონალური მონაცემებისა და ბიოლოგიური მასალის ჩართულობით მიმდინარე კვლევების ეთიკურ ასპექტებს, ხოლო პარალელურად ითვალისწინებს შესაბამისობას ცხოველთა კეთილდღეობის, ბიომრავალფეროვნებისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის საერთაშორისო ნორმებთან. პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელებისთვის 2025 წლის 24 სექტემბერს დაფუძნდა კვლევების ეთიკის საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია სამეცნიერო პროექტების წინასწარ ეთიკურ შეფასებაზე და უნივერსიტეტის ყველა დონეზე ეთიკური ცნობიერების ამაღლებაზე.

აკადემიური ნაშრომების ორიგინალობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს საერთაშორისო პლატფორმა Turnitin-ს, რომელშიც ინტეგრირებულია ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტის ამოცნობის ფუნქციაც. ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ სისტემური კონტროლის პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო ხასიათის ინტერვენციები: რეგულარული ტრენინგები აკადემიური წერის, ციტირების სტანდარტების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ბიბლიოგრაფიული მართვის ინსტრუმენტების შესახებ.

ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარებისა და მისი აკადემიურ სივრცეში მზარდი გამოყენების საპასუხოდ, უნივერსიტეტმა შეიმუშავა და დანერგა ცალკე პოლიტიკის დოკუმენტი ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების შესახებ, რომელიც არეგულირებს ამ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტი ავსებს და აზუსტებს პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების წესში უკვე არსებულ ჩანაწერებს AI-ის არასათანადო გამოყენების პრევენციის, აღმოჩენისა და დარღვევებზე რეაგირების თაობაზე, რითაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ სფეროს კომპლექსურ და თანმიმდევრულ მარეგულირებელ ჩარჩოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი (დაწესებულების განაცხადი სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შესახებ)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი
- ეთიკის კოდექსი
- პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი

- სამეცნიერო კვლევების ეთიკის პოლიტიკა
- ბრძანება სამეცნიერო კვლევების ეთიკის საბჭოს დამტკიცების შესახებ
- ჩატარებული ტრენინგების მონაცემები
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- არ გაცემულა

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- არ გაცემულა

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უნივერსიტეტს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესისთვის შემუშავებული აქვს ინსტიტუციური დონის მარეგულირებელი დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი", რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ეტაპებს დაგეგმვიდან გაუქმებამდე და უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან. ეს მიდგომა თავისი შინაარსით ეყრდნობა ECTS-ის ლოგიკას, რომელიც გულისხმობს სწავლის შედეგებზე დაკვირვებას, სტუდენტის დატვირთვას და შინაარსის სპეციფიკას. ასევე, პროგრამის შეცვლა/გაუქმებისას მკაფიოდ ჩანს კანონმდებლობასთან თანმიმდევრული მოქმედება-სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, რაც ადასტურებს, რომ უნივერსიტეტის მთელი პროცესი მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში მიმდინარეობს. დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ დაწესებულება აქტიურად ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას პროგრამების განვითარების ნაწილში. პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას გამოიკვეთა შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინების მნიშვნელობა, რაც

დადასტურდა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და ერთსაფეხურიანი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული და წარმოდგენილი ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის შემუშავებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით.
საუნივერსიტეტო პროგრამების კატალოგების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ პროგრამების სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონეებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან. უნივერსიტეტში არსებული პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი უნივერსიტეტში ეტაპობრივ და თანმიმდევრულ მიდგომას ეფუძნება. მოსამზადებელ ეტაპზე ტარდება შრომის ბაზრის კვლევა და შიდა/გარე მონაცემთა ანალიზი (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ლექტორები, დამსაქმებლები). ამ ანალიზის საფუძველზე დგება პროგრამის განვითარების გეგმა, სადაც განსაზღვრულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგები, არამედ მათი მიღწევის გზები.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა მოიცავს სწავლის სფეროს, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, თავისუფალ სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა (I და II ნაწილი) აგებულია სამი ძირითადი კომპონენტის საფუძველზე: სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, პრაქტიკული კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. რაც შეეხება ერთსაფეხურიან პროგრამებს, სტომატოლოგიის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების სტრუქტურა მოიცავს სწავლის სფეროს საბაზისო სასწავლო კურსებს, სფეროს სავალდებულო კლინიკურ სასწავლო კურსებს, ასევე საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. მედიცინის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი, ერთსაფეხურიანი პროგრამების სტრუქტურა კი უფრო კომპლექსურია და მოიცავს სფეროს საბაზისო სავალდებულო კურსებს, სფეროს კლინიკურ სავალდებულო კურსებს, სამეცნიერო კვლევის უნარების სავალდებულო კურსებს და კლინიკური უნარ-ჩვევების სავალდებულო კურსებს, აგრეთვე სფეროს არჩევით კურსებს, ზოგად სავალდებულო და ზოგად არჩევით სასწავლო კურსებს. ცალკეულ პროგრამებში კომპონენტები (კურსები, მოდულები) ერთმანეთს მიჰყვება წინასწარ განსაზღვრული, გაზომვადი ლოგიკით. დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. ცალკეული პროგრამების სტრუქტურა გულისხმობს სტუდენტებისთვის არჩევითობის საშუალებას. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტი და მოცემულია მათი შეფასების კრიტერიუმები.

სწავლა-სწავლების მეთოდების შეფასების ნაწილში დავეყრდენით მხოლოდ პროგრამების კატალოგებს და მედიცინის პროგრამებს. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დროს გამოვითხოვეთ მედიცინის პროგრამის სილაბუსები, დაწესებულების მხრიდან არ მომხდარა მათი მოწოდება იმ მიზეზით, რომ „ამჟამად მიმდინარეობს 2024 წლის მდგომარეობით არსებული სილაბუსების განახლების პროცესი, რომელიც დასრულდება იმ დროისათვის, როცა უნივერსიტეტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოადგენს მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამას, სილაბუსებსა და აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშით გათვალისწინებულ დანართებს“.

შესაბამისად, თვითშეფასების დოკუმენტისა და მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ პროგრმაში გამოიყენება სამედიცინო განათლებისთვის სპეციფიური სწავლა-სწავლების მეთოდები. CBL (Case-Based Learning) და PBL (Problem-Based Learning) ორივე მეთოდი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია სამედიცინო განათლებაში დაპირდაპირ პასუხობს დარგის მოთხოვნას- კლინიკური მსჯელობისა და დიაგნოსტიკური აზროვნების განვითარებას. პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching)- წარმოადგენს დარგისთვის სპეციფიკურ მეთოდს, რომელიც პირდაპირ უზრუნველყოფს კლინიკურ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ გარემოში. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის წესი და მექანიზმები, რომლის მიზანია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიღება და

მონაცემთა ანალიზის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. ამ პროცესის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა 2025-2026 აკადემიური წლის კვლევების შედეგები ცალკეული პროგრამებისთვის.
უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია პროგრამების კატალოგები.

უნივერსიტეტში მოქმედებს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ინდივიდუალურ გეგმას ადგენს პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტთან გასაუბრებისა და მისი ინდივიდუალური სასწავლო ბარათის განხილვის საფუძველზე, რის შედეგადაც სასწავლო პროცესი და სწავლების მეთოდები მორგებულია სტუდენტის კონკრეტულ საჭიროებებზე.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია აკადემიური კალენდარი.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უნივერსიტეტში დანერგილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემა აგებულია იმგვარად, რომ ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო სფეროს თავისებურებებს და მოიცავს ადეკვატურ საშუალებებსა და მიდგომებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია დადასტურდეს, რამდენად იქნა მიღწეული საგანმანათლებლო კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდაციის მიზნით, უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების როგორც რეალურ მიღწევადობას, ისე მათ გაზომვის შესაძლებლობას. ამ მიზნით გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი შეფასების მეთოდი, თავის მხრივ, ეფუძნება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების უშუალო შეფასებასა და მიღწეული შედეგების ანალიზს. ამ პროცესში გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი ფორმები: ღია ტიპის კითხვები, ტესტები, თეორიული დავალებები, პრეზენტაციები, საპროექტო პრეზენტაციები, ასევე საბაკალავრო პროექტი ან ნაშრომი — თითოეული შესაბამისი შეფასების რუბრიკის გამოყენებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების შეფასებისას გაანალიზებულია კონკრეტულად იმ დავალების შედეგი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება და ზომავს შესაბამის სწავლის შედეგს. არაპირდაპირი შეფასების ფარგლებში ხორციელდება დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და მოქმედი სტუდენტების გამოკითხვა, კურიკულუმის შინაარსობრივი ანალიზი და მისი შედარება მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებთან, ასევე სხვა მსგავსი ღონისძიებები. სწავლის შედეგების მიღწევის, პროგრამის შინაარსობრივი ხარისხისა და თავად შეფასების მექანიზმების ეფექტიანობის განსაზღვრაში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, რაც დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუების შედეგად. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია სასწავლო კურსების, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების ურთიერთმიმართების ამსახველი რუკები და მატრიცები, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რომელი კონკრეტული კომპონენტი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის გაზომვას. პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით, ყოველი სემესტრის დასასრულს სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გაუსის განაწილების მეთოდის გამოყენებით აფასებს კონკრეტული კურსის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პროგრამის დონეზე დაგეგმილი სწავლის შედეგების შეფასების შემაჯამებელ ანალიზს.

უნივერსიტეტში დამკვიდრებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა დეტალურას არის აღწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც წარმოადგენს ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ყალიბდება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეფასების სისტემა. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, შეფასების სისტემასთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მეშვეობით, ხოლო, მეორე მხრივ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში და სტუდენტის სამახსოვრო ბარათში მოცემული ინფორმაციის საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე

შეფასება განხორციელდა მხოლოდ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის საფუძველზე, ვინაიდან დაწესებულების მხრიდან სილაბუსები არ იქნა წარმოდგენილი შესაფასებლად. ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ. აკადემიური პერსონალისთვის ვალდებულებას წარმოადგენს პირველივე შეხვედრაზე შეფასების სისტემის დეტალური გაცნობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება სტუდენტთა მიერ ცალკეულ სასწავლო კურსში მიღწეული აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი. ამ პროცესის რეგულირებისთვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის წესი და მექანიზმები“, რომლის საფუძველზეც სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ახდენს სტუდენტთა მიღწეული შედეგების შეფასებას გაუსის ნორმალური განაწილების მეთოდის გამოყენებით. მიღებული შედეგების შემდგომ ანალიზში ჩართულია როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტულ სასწავლო კურსში სწავლის შედეგები მნიშვნელოვნად სცდება გაუსის განაწილების მრუდისთვის დამახასიათებელ პარამეტრებს, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია, დეტალურად შეისწავლოს აღნიშნული გადახრისა თუ შეუსაბამობის შესაძლო მიზეზები და შეიმუშაოს შესაბამისი მექანიზმები მათი დროული და ეფექტიანი აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრები წესი, რომელიც აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და საგამოცდო პროცესის ორგანიზებისა და განხორციელების წესში. სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ ისინი ინფორმირებულები არიან გასაჩივრების პროცედურების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• თვითშეფასების დოკუმენტი • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი • საგანმანათლებლო პროგრამები • დაინტერესებული მხარეების კვლევების შედეგების ანალიზ • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის წესი და მექანიზმები • ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები • სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი • საგამოცდო პროცესის ორგანიზებისა და განხორციელების წესი • ფაკულტეტების დებულებები • უნივერსიტეტის ვებგვერდი • ინტერვიუს შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
• არ გაცემულა
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
• არ გაცემულა

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

4.1. პერსონალის მართვა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „პერსონალის მართვის პოლიტიკა" (კანცლერის 2022 წლის 19 ოქტომბრის #01-122 ბრძანება). დოკუმენტი მოიცავს ცხრა ძირითად მიმართულებას - რეკრუტირებას, პროფესიულ განვითარებას, სამოტივაციო სისტემას, კარიერის მართვას, პროფესიული საჭიროებების კვლევას, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესრულებული სამუშაოს კონტროლს, საქმიანობის შეფასებას, კმაყოფილების კვლევასა და ორგანიზაციული კულტურის ხელშეწყობას. ამ პოლიტიკის განხორციელებას კოორდინაციას უწევს პერსონალის მართვის სამსახური.

პერსონალის მიღების პროცედურა დიფერენცირებულია დასაქმებულთა კატეგორიების მიხედვით. აკადემიური თანამდებობის დაკავება რეგულირდება ცალკე დოკუმენტით - „აკადემიურ თანამდებობათა დაკავების წესით" (რექტორის 2013 წლის 7 ნოემბრის #02-374 ბრძანება, ბოლო ცვლილება 01-120, 02.10.2023) - რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ღია კონკურსს, სულ მცირე ხუთწევრიან საკონკურსო კომისიას (სადაც თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირი) და პოზიციის მიხედვით დიფერენცირებულ მოთხოვნებს. ცალკე გამოყოფილია მედიცინის კლინიკური მიმართულების (9 და 5 წლიანი კლინიკური გამოცდილება პროფესორისა და ასოცირებული/ასისტენტ პროფესორისთვის შესაბამისად) დამატებითი მოთხოვნები, ხოლო მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამისთვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ალტერნატიულ კრიტერიუმთაგან ერთ-ერთი - ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება, საზღვარგარეთ კლინიკური ან კვლევითი პრაქტიკა, ინგლისურენოვანი პროგრამის დასრულება, ან ენის B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი. ცალკეა გამოყოფილი უცხოელი პროფესორის პირდაპირი მითითებით არჩევის მექანიზმიც (მუხლი 5[1]). ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიღება კი აღწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-3-მე-6 მუხლებში და გადის საშტატო საჭიროების განსაზღვრის, კანდიდატის მოზიდვის, გასაუბრებისა და ფორმალიზებული შეფასების ეტაპებს (დანართი 2-ის „Candidate Evaluation Form"), თუმცა, დოკუმენტი ცალკე აღნიშნავს, რომ დანიშვნა შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევაში კონკურსის გარეშეც, კანცლერის ინდივიდუალური გადაწყვეტილებით - რაც გამჭვირვალობის პრინციპს ნაწილობრივ ასუსტებს, თუმცა ფორმალურად გამონაკლისად რჩება და არა ძირითად წესად.

რეგულაციების შესაბამისად, აფილირებული პირი კისრულობს ვალდებულებას, კვლევის შედეგები ჩაეთვალოს უნივერსიტეტს, აქტიურად მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და სტუდენტთა კონსულტირებაში, ხოლო აფილირების პირობა თავიდანვე უნდა იყოს მითითებული საკონკურსო განცხადებაში. ვალდებულებები კონკრეტდება „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შეფასების და წახალისების წესში", რომელიც აწესებს წლიურ მინიმალურ ქულობრივ ზღვარს პოზიციისა და დატვირთვის ტიპის მიხედვით - პროფესორისთვის 15-დან 25 ქულამდე, ასისტენტისთვის 5-დან 10 ქულამდე - და ერთვის დანართად სამეცნიერო (დანართი 1) და აკადემიური (დანართი 2) აქტივობების დეტალური ქულობრივი ცხრილი. შესრულების ვერდადგენის შემთხვევაში მოქმედებს დისციპლინური რეაგირების ეტაპობრივი ჯაჭვი - გაფრთხილება, საყვედური, ხელფასის 10-20%-იანი დაქვითვა და, საბოლოოდ, ხელშეკრულების შეწყვეტა (მუხლი 6), რომელიც ავტომატურად გამომდინარეობს დადგენილი პროცედურიდან; ამ პროცესის საფუძველია სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის მიერ მომზადებული წლიური ანგარიში, რომელსაც ამტკიცებს რექტორის, დეპარტამენტების, ფაკულტეტების და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებისგან შემდგარი კომისია.

ახალი თანამშრომლის ინტეგრირებისთვის მოქმედებს მენტორინგის პროგრამა: ერთი თვის განმავლობაში გამოცდილი თანამშრომელი ეხმარება ახლადმიღებულს შიდა რეგულაციების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სამუშაო სპეციფიკის ათვისებაში, რის შემდეგაც ხდება ორმხრივი შეფასება წინასწარ დადგენილი ფორმებით (დანართი 4 და 5) - მენტორი აფასებს თანამშრომლის კომპეტენციას, თანამშრომელი კი მენტორის მიერ გაწეულ დახმარებას. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღარ განაგრძოს თანამშრომლობა გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ.

პროფესიული განვითარების მიმართულებით ყოველი წლის დასაწყისში მტკიცდება როგორც აკადემიური/მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (შესაბამისად რექტორის და კანცლერის ბრძანებით), რომლის შემუშავებაშიც ჩართულნი არიან ფაკულტეტის, პროგრამისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ხოლო შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს პერსონალის მართვის სამსახური. ფინანსური მხარდაჭერისთვის არსებობს რამდენიმე პარალელური არხი - ფუნდამენტური გრანტების კონკურსი, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება, პუბლიკაციის ხარჯების ანაზღაურება და 2017 წლიდან მოქმედი ინგლისური ენის კურსები ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სამეცნიერო პრემია „თამარი", რომელიც დეტალურად აღწერილია მეექვსე სტანდარტის შეფასების ნაწილში. სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებები (სწავლის საფასურის 50%-იანი შემცირება ან სრული გათავისუფლება თანამშრომლებისთვის, დეკრეტული შვებულების პერიოდში ხელფასის 100%-იანი შენარჩუნება 6 თვის განმავლობაში, 1000-ლარიანი ერთჯერადი დახმარება პირველი შვილის შეძენისას) კი ადასტურებს შენარჩუნების პოლიტიკას.

უნივერსიტეტი ატარებს და იყენებს პერსონალის კმაყოფილების კვლევებს, შედეგები პოზიტიურია. მაღალი შეფასების მიზეზებად ყველაზე ხშირად სახელდებოდა პროფესიული განვითარებისთვის შექმნილი პირობები, შედეგებზე ორიენტირებული სამუშაო გარემო, მოქნილი სამუშაო გრაფიკი და სამუშაო გარემოს სტაბილურობა. 2024 წლის ანალოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროების საპასუხოდ მედიცინის ფაკულტეტზე შეძენილ იქნა 3D VR Anatomy Premium Edition და 3D ანატომიური მაგიდა. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანალოგიური კმაყოფილების კვლევა დაგეგმილია 2026 კალენდარული წლის ფარგლებში, ხოლო ცალკე, სტრუქტურული ერთეულების სპეციალისტებისა და კოორდინატორების პროდუქტიულობის შეფასება/თვითშეფასება იგეგმება კონკრეტულად 2026 წლის მე-2 ნახევარში.

დასახული სამიზნე ნიშნულებიდან პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა დასტურდება - 2026 წლის მონაცემებით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულია 423 პუბლიკაცია, მათგან 141 Scopus და/ან Web of Science Core Collection-ის ბაზებში ინდექსირებულ წყაროებში, ხოლო ბოლო ორი წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი 219 პუბლიკაციას შეადგენს. პერსონალთან დაკავშირებული სტატისტიკაც აჩვენებს დინამიკას: საანგარიშო პერიოდში გამოცხადებულია 19-მდე კონკურსი აკადემიური თანამდებობისთვის და დანიშნულია 198 აკადემიური პერსონალი, ჯამში კი უნივერსიტეტში დღეისათვის დასაქმებულია 379 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 12 უცხოელი პროფესორი), საიდანაც 287 (პროფესორი 36, ასოცირებული პროფესორი 110, ასისტენტ პროფესორი 113, ასისტენტი 28) არის უნივერსიტეტთან აფილირებული.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უნივერსიტეტში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა რეგულირდება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესითა" და „პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით". წესი განასხვავებს ორ ხელშეკრულების ტიპს - თორმეტთვიანს (12-თვიანი ანაზღაურებით, ორიენტირებული პროგრამის განვითარებასა და მეცნიერებაზე) და სტანდარტულს (დატვირთვის შესაბამისი ანაზღაურებით). დანართი 1-ის ცხრილის მიხედვით, თორმეტთვიანი ხელშეკრულების მქონე პროფესორის კვირეული 40-საათიანი დატვირთვა შედგება 6-8 საათის საკონტაქტო მუშაობის, 6-8 საათის პროგრამის განვითარებაზე ზრუნვის, 5-6 საათის კონსულტაციების, 3-5 საათის ნაშრომების ხელმძღვანელობა-რეცენზირების და 13-18 საათის სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებისგან; ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი აკადემიური

პერსონალისთვის ცხრილში ცალკეა გამოყოფილი განსხვავებული პროპორცია, სადაც ადმინისტრაციულ ფუნქციებს ეთმობა 20 საათი კვირაში.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების მსვლელობაში, პერსონალთან განხილული იყო მათი დატვირთვის სქემა და რეგულაციები საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით (მაგალითად, მინიმალური და მაქსიმალური საათობრივი დატვირთვა), თუმცა ინფორმირებულობის დონე შედარებით დაბალი იყო.

ცვლილებით, თორმეტთვიანი ხელშეკრულების მქონე პერსონალს, რომლებიც ერთდროულად იკავებენ ადმინისტრაციულ თანამდებობას, განესაზღვრათ კვირეული საკონტაქტო საათების ზღვარი: რექტორი, რექტორის მოადგილეები, დეკანი და დეკანის მოადგილეები - არაუმეტეს 10 საათისა (მუხლი 3.6), სხვა ადმინისტრაციულ პოზიციაზე მყოფი აკადემიური პერსონალი - არაუმეტეს 15 საათისა, ხოლო ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას მინიმუმ 20 საათი უნდა დაეთმოს კვირაში.

წესი ითვალისწინებს დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც: აფილირებულ პროფესორს უფლება აქვს სხვა უნივერსიტეტში ჩაატაროს არაუმეტეს 6 საკონტაქტო საათი კვირაში, სტანდარტული ხელშეკრულების პერსონალს - არაუმეტეს 12 საათისა, ხოლო ლექტორის ჯამურმა დატვირთვამ ყველა უსდ-ში კვირაში 40 საათს არ უნდა გადააჭარბოს; დარღვევის შემთხვევაში პერსონალის მართვის სამსახური გასცემს გაფრთხილებას, განმეორებისას კი წარდგინებას აკეთებს ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

მიმდინარე სემესტრის დატვირთვის ანალიზის საფუძველზე (მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის აკადემიური პერსონალის დატვირთვა QMS ბაზიდან, მოწოდებული დაწესებულების მიერ) გამოიკვეთა ჯამური სასწავლო საათობრივი დატვირთვის 40 საათიან მაჩვენებელს გადაჭარბების ცალკეული შემთხვევები. კერძოდ, 40 საათიანი სასწავლო დატვირთვის გადაჭარბება უფიქსირდება 8 პერსონალს, აქედან 4 აკადემიური პერსონალია და სასწავლო დატვირთვა მოიცავს 51, 58, 44, 48 საათს, ხოლო ჯამური დატვირთვა 41-დან 85 საათამდე ადის. 35-40 საათიან დიაპაზონში კი 9 პირია. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს დატვირთვასთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულება, განსაკუთრებით, სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის კვალდაკვალ. ამასთან, სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ლექტორებზე უკმაყოფილების შემთხვევები ჰქონიათ, მაგალითად, ინგლისური ენის კომპეტენცია, რაც გაუჟღერებიათ ადმინისტრაციასთან. ადმინისტრაციას რეაგირება ჰქონია, თუმცა მოგვიანებით სემესტრის დამთავრების შემდეგ და არა მიმდინარე სემესტრში, როდესაც სტუდენტებს უკმაყოფილება ჰქონდათ. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ კომპონენტს სხვა ლექტორიც არ უძღვებოდა. ეს კი შესაძლოა პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის საკითხს უკავშირდებოდეს.

პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მიმართულების სპეციფიკას, სტუდენტთა კონტინგენტსა და ჯგუფის ზომას (მუხლი 1) და აწესებს ზღვრებს: მოწვეული და არააფილირებული პერსონალის წილი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებზე არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს (მუხლი 2.3), სადოქტორო პროგრამებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 50/50-ია (მუხლი 3.1), ხოლო კლინიკურ დისციპლინებში მოწვეულთა წილი 50%-მდე იზრდება ლიცენზირების მოთხოვნის გამო. მედიცინისა და სტომატოლოგიისთვის დადგენილია აფილირებული პერსონალის მინიმალური რაოდენობა მიმართულებების მიხედვით (მაგ., კლინიკური მედიცინა - მინიმუმ 13 პირი).

საშტატო განრიგში ფაკულტეტების მიხედვით დაფიქსირებულია აკადემიური თანამდებობების რაოდენობა: მედიცინის ფაკულტეტზე - 22 პროფესორი, 48 ასოცირებული პროფესორი, 55 ასისტენტ-პროფესორი, 15 ასისტენტი; მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტზე - 4, 8, 3 და 1 შესაბამისად. საშტატო განრიგი ასევე მოიცავს 193-მდე ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციას.

სემესტრული დატვირთვის მომზადება მრავალსაფეხურიანია (მუხლი 8): პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს პროექტს სასწავლო პროცესის დაწყებამდე 7 კვირით ადრე, ფაკულტეტის დეკანი ახორციელებს პროგრამებს შორის კოორდინაციასა და კრიტერიუმების კონტროლს, საკოორდინაციო მუდმივმოქმედი კომისია ამოწმებს შესაბამისობას აკრედიტებულ პროგრამებთან, პერსონალის კვალიფიკაციასთან და სახელფასო პირობებთან, ხოლო საბოლოო დამტკიცება ხდება რექტორის მიერ.

სტანდარტის კომპონენტების შეფასების შედეგად, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, მოემსახუროს გაზრდილ სტუდენტთა კონტინგენტს პერსონალის დატვირთვის კუთხით, ამასთან,

სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის კვალდაკვალ. უნივერსიტეტმა უზრუნველყო აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც უკვე აღინიშნა, თუმცა, მნიშვნელოვანია პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• *„აკადემიურ თანამდებობათა დაკავების წესი“* • *აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები* • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი* • *„აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შეფასების და წახალისების წესი“* • *პერსონალის მართვის პოლიტიკა* • *„აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“* • *აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმები* • *2024-2026 წლების კონკურსების შედეგები* • *მედიცინის ENG პროგრამის აკადემიური პერსონალის CV-ები* • *მედიცინის ENG პროგრამის აკადემიური პერსონალის დატვირთვები ბაზიდან* • *შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები* • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა 2025* • *განაცხადი სტუდენტთა ზღვრული კონტინგენტის გაზრდის შესახებ* • *ინტერვიუს შედეგები.*
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
რეკომენდაცია 2 (კომპონენტი 4.2) • მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს დატვირთვასთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულება, განსაკუთრებით, სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის კვალდაკვალ.
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. *კომპონენტის ნომერი - რჩევა* • *არ გაცემულა*

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ *აკმაყოფილებს* ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

შეფასების მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული საკითხები.

5.1. *სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები*

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების პროცედურები რეგულირდება როგორც მოქმედი კანონმდებლობით, ასევე უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით. აღნიშნული რეგულაციები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესების გამჭვირვალე და თანმიმდევრულ განხორციელებას. ეროვნული ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უცხოელ სტუდენტთა რეკრუტირების სამსახური პასუხისმგებელია უცხოელი აპლიკანტების დოკუმენტაციის მიღებასა და ადმინისტრირებაზე. სტუდენტისთვის სწავლის უფლების მინიჭების შემდეგ შესაბამისი დოკუმენტაცია მუშავდება e-Flow სისტემის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მართვას. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები დეტალურად არის განსაზღვრული უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. სტატუსის შეჩერება ფორმდება რექტორის ბრძანებით, ხოლო სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები და პროცედურები რეგულირდება აღნიშნული წესის მე-12 და მე-14 მუხლებით.
სტუდენტთა მობილობა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ვადების შესაბამისად. კრედიტების აღიარების პროცესი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის „მობილობის, შიდა მობილობისა და კრედიტების აღიარების წესით“, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მიღებული სწავლის შედეგების სამართლიან და თანმიმდევრულ შეფასებას.
სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-16 მუხლით. აპელაციის მაგალითი რომ ავიღოთ, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2025 წლის განმავლობაში მედიცინის ფაკულტეტზე დაფიქსირდა 18 საჩივარი, რომელთაგან 15 დაკმაყოფილდა, ხოლო 3 არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა საჩივრების განხილვისა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმი.
დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ეთიკის კომისია, რომელიც განიხილავს ეთიკურ საკითხებსა და შესაბამის საჩივრებს. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვას, სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფასა და სტუდენტთა უფლებების ეფექტიან დაცვას. მთლიანობაში, წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსთან, მობილობასთან, კრედიტების აღიარებასა და სტუდენტთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პროცესები რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩოთი და ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

5.2. *სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები*

უცხოენოვან და ქართველ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტების აკადემიურ მხარდაჭერასა და მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. სტუდენტების შეფასებით, უნივერსიტეტი მათ სისტემატურად აწვდის ინფორმაციას როგორც სემესტრული, ისე მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების შესახებ. ამასთან, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სრულყოფის პროცესში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „გონი“, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის აკადემიური პროცესის შესახებ ინფორმაციის დროულ ხელმისაწვდომობას, სასწავლო რესურსებზე წვდომასა და აკადემიურ პერსონალთან ეფექტიან კომუნიკაციას.

ინტერვიუს ფარგლებში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორები სასწავლო სემესტრის პირველივე შეხვედრაზე აცნობენ მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, შეფასების სისტემასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და სტუდენტების ინფორმირებულობას.

უნივერსიტეტი თანმიმდევრულად ზრუნავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე. ამ მიზნით ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და შრომის ბაზარზე წარმატებულ ინტეგრაციას.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და წამყვან კლინიკებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ თანამედროვე კლინიკურ გარემოში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი პროფესიული კომპეტენციებისა და კონკურენტუნარიანობის განვითარებას. პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში აქვთ შესაძლებლობა დასაქმდნენ კლინიკებში და პროფესიული საქმიანობა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყონ.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს უნივერსიტეტმა უმასპინძლა მასშტაბურ დასაქმების ფორუმს, რომელშიც მონაწილეობდა 50-ზე მეტი წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია, რაც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დამსაქმებლებთან უშუალო კომუნიკაციისა და დასაქმების შესაძლებლობების გაცნობის საშუალებას აძლევდა.

როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, ასევე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შესახებ. მიუხედავად ამისა, უცხოენოვანმა სტუდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ სასურველი იქნებოდა გაცვლითი პროგრამების სიხშირისა და მრავალფეროვნების კიდევ უფრო გაზრდა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს მრავალფეროვანი ექსტრაკურიკულური აქტივობები, რომლებიც მოიცავს სპორტულ, კულტურულ, სამეცნიერო და ინტელექტუალურ ღონისძიებებს. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, სოციალური უნარების გაძლიერებასა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან და მონაწილეობს Erasmus+ პროგრამასა და „Cotutelle“-ის მოდელში. „Cotutelle“ ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ კვლევის განხორციელებას მინიმუმ ორ უნივერსიტეტში, ორ სხვადასხვა ქვეყანაში, რის შედეგადაც ერთი სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება ორივე უნივერსიტეტის ერთობლივი დოქტორის ხარისხი.

აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აღსანიშნავია, რომ მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამები შეესაბამება დიდი ბრიტანეთის GMC-ის (General Medical Council) და GDC-ის (General Dental Council) მიერ დადგენილ მოთხოვნებს, რაც პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე მიუთითებს.

უნივერსიტეტი ასევე აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. კერძოდ, იგი წარმოდგენილია ისეთი საერთაშორისო ფორუმებისა და კონფერენციების ფარგლებში, როგორიცაა EAIE (European Association for International Education) და NAFSA (Association of International Educators) ყოველწლიური კონფერენციები. გარდა ამისა, უნივერსიტეტი არის AMEE-ის (Association for Medical Education in Europe) და ELFA-ის (European Law Faculties Association) წევრი, რაც ადასტურებს მის ჩართულობას საერთაშორისო აკადემიურ და პროფესიულ ქსელებში.

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სტიპენდიური პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას და ხელს უწყობს აკადემიური წარმატების წახალისებას. **უნივერსიტეტში სტუდენტთა სტატუსის მართვის, უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მექანიზმები შეესაბამება მე-5 სტანდარტის მოთხოვნებს. არსებული ადმინისტრაციული, აკადემიური და პრაქტიკული მხარდაჭერის რესურსები, მათ შორის მედიცინის პროგრამის კლინიკური პარტნიორობები, უზრუნველყოფს გაზრდილი სტუდენტური კონტინგენტის ეფექტიან მართვას და სტუდენტებისთვის ხარისხიანი მომსახურების შენარჩუნებას. შესაბამისად, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა დასაშვებია.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (თვითშეფასება, ინტერვიუები, დოკუმენტები და სხვა). ● სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები ● უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები ● დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. *კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია* ● არ გაცემულა
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასუმჯობესებლად. რჩევა 1 (კომპონენტი 5.2) ● სასურველია, უნივერსიტეტმა განაგრძოს საერთაშორისო პარტნიორული ქსელის გაფართოება და ხელი შეუწყოს სტუდენტების, განსაკუთრებით, უცხოენოვანი სტუდენტების საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების ზრდას, მათ შორის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის გზით.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ *აკმაყოფილებს* ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

6.1 კვლევითი საქმიანობა

სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირების მიზნით უნივერსიტეტი ახალისებს ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობას შიდა საგრანტო კონკურსის ფარგლებში მათთან თანამშრომლობის სავალდებულო ხასიათით. შიდა საგრანტო კონკურსი მოიცავს „საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან და ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის გაღრმავების და ცოდნის ტრანსფერის სავალდებულო პირობას სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირების ხელშესაწყობად". საგრანტო აქტივობების ცხრილში დასტურდება კონკრეტული მაგალითები: პროექტს „ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელის ინოვაციის კავშირი კომპანიის ზრდის სახეობებთან" პარტნიორად ჰყავს „მართვის კომპანია GGM", ხოლო პროექტს „ფორმალური ინსტიტუციური ცვლადების კავშირი სამეწარმეო ორიენტაციის დეტერმინანტებთან" - „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია (SMEDA)". ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის ერთ-ერთი მაგალითია ჰორიზონტი ევროპის მიერ დაფინანსებული „EIT-BEST" (EIT Training, Networking and Best Practices Initiative) - 24 ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმი, ჯამური ბიუჯეტით 3,248,422.50 ევრო, რომლის მიზანია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით ინსტიტუციური კავშირების განვითარება, მეცნიერთა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობითი პროექტების ხელშეწყობა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა პროექტების ადმინისტრირებაში.

დაწესებულება ახორციელებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ განვითარებაში როგორც რეგიონულ და ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამის დასტურია 44 გამარჯვებულ საგრანტო პროექტში მონაწილეობა (38 ინსტიტუციური, 6 ინდივიდუალური). დამფინანსებელთა შორისაა Horizon Europe, Erasmus+, კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF), გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური DAAD და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ხოლო პროექტები ხორციელდება 25-ზე მეტ ევროპულ ინსტიტუციასთან თანამშრომლობით - რაც თავისთავად აჩვენებს, რომ კვლევითი საქმიანობა სცილდება მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებს და საერთაშორისო განზომილებასაც მოიცავს.

დაწესებულებას აქვს ჩამოყალიბებული ხედვა საკუთარი, როგორც კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუციის, როლის შესახებ, რაც უზრუნველყოფილია შიდა მექანიზმების სისტემით. 2018 წლიდან ფუნქციონირებს შიდა საგრანტო სისტემა, სადაც წამყვან როლს ასრულებს ფუნდამენტური კვლევების ყოველწლიური საგრანტო კონკურსი - თითოეულ პროექტს ჰყავს პარტნიორი ინსტიტუცია და მინიმუმ ერთი კონსულტანტი პარტნიორი ორგანიზაციიდან. 2025 წლიდან დამატებით ამოქმედდა მეცნიერების პოპულარიზაციის საგრანტო კონკურსი სტუდენტური ინიციატივების წასახალისებლად, ხოლო „მაღალი ხარისხის კვლევების წახალისების" მიზნით იმავე წლიდან მოქმედებს დაფინანსების სისტემა, რომელიც კვარტილების მიხედვით (Q1-დან Q4-მდე, 500-დან 1200 ევრომდე) ფარავს პუბლიკაციის ხარჯებს და დამატებით 1250-ლარიან პრემიას სთავაზობს თითოეული სტატიის გამოქვეყნებისთვის. 2017 წლიდან არსებობს სამეცნიერო პრემია „თამარი", რომლითაც სამ წელიწადში ერთხელ ჯილდოვდება ხუთი ყველაზე გამორჩეული მეცნიერი. ინსტიტუციური ხედვის დამატებითი გამოვლინებაა 2021 წელს დაარსებული „საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში" (journal.ciu.edu.ge), რომელიც უკვე ინდექსირებულია ERIH plus-ისა და Index Copernicus-ის ბაზებში - ეს გვიჩვენებს, რომ დაწესებულების ხედვა მოიცავს კვლევითი ინფრასტრუქტურის (საკუთარი სამეცნიერო ჟურნალის) განვითარებასაც.

დაწესებულება აღნიშნავს, რომ კვლევის შედეგების სასწავლო საქმიანობაში ინტეგრირების ხელშესაწყობად, კვლევების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე, რაც განამტკიცებს

კვლევაზე დაფუძნებული სწავლების კომპონენტს. ფუნდამენტური კვლევებისა თუ სხვა საგრანტო კონკურსები პირდაპირ ითვალისწინებს დოქტორანტების ჩართვას კვლევით პროექტებში, ხოლო საგრანტო პირობები სავალდებულოს ხდის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობას ძირითად ან დამხმარე პერსონალად - რაც ხელს უწყობს მათ ადრეულ ინტეგრირებას სამეცნიერო საზოგადოებაში.

უნივერსიტეტში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან, აკადემიური პერსონალის დატვირთვასთან და სადისერტაციო ნაშრომის შეფასება-დაცვის პროცედურებთან დაკავშირებული ყველა საკითხი წესრიგდება „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით", რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის #32 ოქმით. დოკუმენტი პერიოდულად მოდიფიცირდება, მიმდინარე გამოცდილებისა თუ საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსი, დანიშვნის წესი და უფლებამოსილებები განსაზღვრულია დებულების 21-ე მუხლით, ხოლო მისი ფუნქცია-მოვალეობების ამომწურავი ჩამონათვალი - 22-ე მუხლით. კერძოდ, ხელმძღვანელი ეხმარება დოქტორანტს საკვლევი თემისა და მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში, ახორციელებს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების მონიტორინგს, უზრუნველყოფს დადგენილი ვადებისა და უნივერსიტეტის აკადემიური წერის სტანდარტის დაცვას, აწარმოებს დისერტაციასთან დაკავშირებულ რეგულარულ შეხვედრებს დოქტორანტთან და ყოველი სემესტრის ბოლოს დოქტორანტთან ერთად წარადგენს ერთობლივად შესრულებული სამუშაოს ანგარიშს (დებულების 22[1] მუხლი ადგენს დოქტორანტის სარკისებურ ვალდებულებებს). დოქტორანტთან კომუნიკაციისთვის განსაზღვრულია კვირაში ერთი საათი, სემესტრში ჯამში 16 საათი, რაც შესაბამისად ანაზღაურდება. ეს ცვლილება უნივერსიტეტმა განახორციელა დოქტორანტთა ანონიმური გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პრობლემის (ხელმძღვანელთან შეხვედრების არასტაბილურობის) საპასუხოდ.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფდეს ხელმძღვანელობის უწყვეტ და მრავალსაფეხურიან მონიტორინგს მთელი კვლევითი პროცესის განმავლობაში. დოქტორანტი ჯერ ამზადებს „კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და დიზაინის" კომპონენტს (ხელმძღვანელისა და საკვალიფიკაციო კომისიის ორმაგი შეფასებით), შემდეგ თანმიმდევრულად გადის სამ კოლოქვიუმს (თითოეული სულ მცირე ერთი პუბლიკაციითა და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობით), რომელთაგან თითოეული გულისხმობს ხელმძღვანელის წერილობით დასკვნას, დამოუკიდებელი რეცენზენტის შეფასებას და საჯარო პრეზენტაციას სპეციალურად შექმნილი კომისიის წინაშე. ამასთანავე, ხელმძღვანელი ვალდებულია აკონტროლოს დოქტორანტის ნაშრომების აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაც - „პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესის" თანახმად (ცვლილება 01-32, 27.03.2024) დასაშვები ტექსტური თანხვედრის მაქსიმალური ზღვარია 24%, ხოლო ყველა ნაშრომი წარდგენიდან 7 დღის ვადაში სავალდებულოდ მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამაში (ცვლილება #01-130, 20.10.2021).

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება-დაცვის პროცედურა (დებულების VI თავი) ეყრდნობა ორეტაპიან, დამოუკიდებელ შეფასებას: ორი ექსპერტი (მათ შორის ერთი აუცილებლად გარე ექსპერტი) აფასებს ნაშრომს აპრობაციის ეტაპზე, შემდეგ ორი დამოუკიდებელი რეცენზენტი (მ.შ. ისევ ერთი გარე) - საბოლოო დაცვამდე; ორივე ეტაპზე გათვალისწინებულია მესამე შემფასებლის მექანიზმი უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, 5 ან 7 დარგობრივი პროფესორისგან, სავალდებულო გარე წევრის ჩართულობით; დაცვა საჯაროა, შეფასების სისტემა აგებულია რეცენზენტის (მაქს. 40 ქულა, 8 კრიტერიუმი) და კოლეგიის (მაქს. 60 ქულა, 12 კრიტერიუმი) ჯამზე, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, ხოლო დაცვის ვიდეო-ჩაწერა სავალდებულოა.

6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

უნივერსიტეტის კვლევითი პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ ხელი შეუწყოს ისეთ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, მიდგომებისა და პერსპექტივების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური მხარდაჭერის ერთ-ერთი მექანიზმია 2018 წლიდან მოქმედი შიდა საგრანტო სისტემა, რომლის შეფასების კრიტერიუმები

ორიენტირებულია დარგობრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე პროექტების სტიმულირებისკენ.

დაფინანსების პროცედურების საჯაროობასა და გამჭვირვალობას ასევე უზრუნველყოფს ცალკე მოქმედი „სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი" (დამტკიცებული კანცლერის 2021 წლის 22 მარტის #01-35 ბრძანებით, არაერთხელ განახლებული), რომელიც არეგულირებს პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებისა და მათში მონაწილეობის დაფინანსების პირობებს წინასწარ განსაზღვრული, ქულობრივი კრიტერიუმებით და საჩივრის შეტანის მექანიზმით.

პერსონალისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მხარდაჭერა დაფინანსების მოძიების, საგრანტო განაცხადის მომზადებისა და ადმინისტრირების კუთხით ორგანიზებულია სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის მეშვეობით, რომელიც საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერას უწევს პერსონალს უნივერსიტეტის პორტალის (research.ciu.edu.ge) საშუალებითაც. უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს გარე ფონდებიდან მოზიდულ პროექტებს თანადაფინანსებით.

საკუთარი მომსახურების ეფექტურობის მუდმივი ამაღლების ერთ-ერთი გამოვლინებაა 2025 წლიდან დანერგილი კვარტილებზე დაფუძნებული პუბლიკაციის დაფინანსების სისტემა. ახალგაზრდა კადრების კვლევით საქმიანობაში მოზიდვისა და მხარდაჭერის დამატებითი მექანიზმია 2025 წლიდან ამოქმედებული მეცნიერების პოპულარიზაციის საგრანტო კონკურსი, რომელიც სტუდენტურ ინიციატივებს, ლიდერული უნარების განვითარებასა და მასტერკლას-ვორქშოფების საშუალებით სკოლებთან თანამშრომლობას უჭერს მხარს.

ერთობლივი კვლევითი პროექტები უცხოელ პარტნიორებთან და ევროკავშირის სამეცნიერო პროგრამებში ჩართულობა დასტურდება დასკვნაში უკვე არწერილი საერთაშორისო საგრანტო კვლევითი პროექტებით. დოქტორანტურის საფეხურზე ფუნქციონირებს უცხოელი თანახელმძღვანელების/კონსულტანტების ინსტიტუტი, ამ მიმართულებით უნივერსიტეტი გეგმავს შემდგომ განვითარებას.

6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

უნივერსიტეტში კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის, აგრეთვე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ეფექტურობის რეგულარული შეფასება ეყრდნობა ორ ურთიერთდაკავშირებულ მექანიზმს. პირველია „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შეფასების და წახალისების წესი", რომლის ფარგლებშიც წლიურად ფასდება და წახალისდება პრიორიტეტული სამეცნიერო აქტივობები - საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა თუ გამარჯვება, Scopus-სა და Web of Science-ში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები და მაგისტრანტების/დოქტორანტების საგრანტო აქტივობების ხელშეწყობა. მეორე მექანიზმი ინსტიტუციური ხასიათისაა და ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილ PDCA ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე), რომლის ერთ-ერთი პირდაპირი მიმართულებაა კვლევის ხარისხის შეფასება, სხვა მიმართულებებთან (საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, პერსონალის საქმიანობა, ინტერნაციონალიზაცია) ერთად.

ინსტიტუციური კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, რომლის განყოფილება research.ciu.edu.ge, „მიმდინარე და განხორციელებული კვლევები და ღონისძიებები" შეიცავს განახლებად ინფორმაციას პუბლიკაციური და საგრანტო აქტივობის მაჩვენებლების შესახებ (მაგალითად, პუბლიკაციების საერთო რაოდენობა, მიმდინარე კვლევითი გრანტების ჯამური ბიუჯეტი) და პირდაპირ ბმულებს კონკრეტული პუბლიკაციების სიებზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს არის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია კვლევითი აქტივობების შესახებ - საჯარო, პერიოდულად განახლებადი მონაცემები, თუმცა არ ჩანს, რომ ის სტრუქტურირებულია დისკრეტული, დათარიღებული „ანგარიშების" ფორმალური სერიის სახით (მაგ. ცალკეული წლიური კვლევითი ანგარიშები დოკუმენტის სახით).

შეფასების შედეგები გამოიყენება, მათ შორის, პერსონალის წახალისების მიზნით, რაც უკვე აღინიშნა, ასევე, პროცესების განვითარებისთვის, რისი მაგლითიცაა დოქტორანტთა გამოკითხვის შედეგების გამოყენება დოქტორანტთა ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევის ხარისხის განვითარებისთვის.

თუმცა, როგორ ახდენს შეფასების შედეგები გავლენას კვლევითი პროდუქტიულობისა თუ კვლევის პოლიტიკაზე, ამის შესახებ დამატებითი მტკიცებულება არ მოიპოვება. **სტანდარტის კრიტერიუმების სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში დაკმაყოფილების მიმართულებით გამოწვევა არ იდენტიფიცირებულა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• *თვითშეფასების ანგარიში* • *გამოქვეყნებული სტატიები Scopus-ის ან WoS-ის ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში* • *აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში* • *ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის მტკიცებულებები* • *უნივერსიტეტის მიერ 2025-2026 წლებში დაფინანსებული მეცნიერები* • *სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება* • *გზამკვლევი სამეცნიერო ხელმძღვანელებისთვის* • *გზამკვლევი დოქტორანტებისთვის* • *გზამკვლევი სადისერტაციო ნაშრომისთვის* • *საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასება* • *სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი* • *სამეცნიერო და აკადემიური აქტივობების დაფინანსების წესი.*
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. *კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია* • *არ გაცემულა*
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. *კომპონენტის ნომერი - რჩევა* • *არ გაცემულა*

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
7.3 საინფორმაციო რესურსი
7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ *აკმაყოფილებს* ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

შეფასების მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული საკითხები.

7.1 მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის მთავარი კამპუსი მოიცავს 7 სართულიან შენობას. დოკუმენტაცია, სადაც მითითებულია ძირითადი საშუალებების ფლობა, მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს და ინტერვიუების დროს მოხდა მათი განხილვა. უნივერსიტეტში მოწყობილია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი ცენტრები: თანამედროვე მულტიმედიური ცენტრი, ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის, სტომატოლოგიისა და კლინიკური უნარების ცენტრები. მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორია და 62 ქვევრზე გათვლილი მარანი. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მოქმედებს იმიტირებული ბანკი და სივრცე სტუდენტებისთვის. სამართლის ფაკულტეტი აღჭურვილია კრიმინალისტიკის ლაბორატორიით, რომელიც სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისთვის არის განკუთვნილი.

უნივერსიტეტს მიეწოდება უწყვეტი ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი და ასევე უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით და მოიცავს მთელ შენობას. ყველა სასწავლო აუდიტორიას, რომელიც დაათვალიერა ექსპერტთა ჯგუფმა, გააჩნდა როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება. სახანძრო ტექნიკა დამონტაჟებულია შენობის თითოეულ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას. იქვეა პანელი, რომელშიც აღწერილია მისი გამოყენების დეტალური ინსტრუქციები. ევაკუაციის გეგმა არის მკაფიოდ თვალსაჩინო და დამტკიცებულია კომპეტენტური სააგენტოების მიერ. შენობას ასევე გააჩნია დამატებითი სათადარიგო გასასვლელები, რომელთა კარები იხსნება შიგნიდან გარეთ. შენობაში გამოყოფილია სანიტარული ერთეულები, რომლებსაც მუდმივად მიეწოდებათ წყალი. ისინი ორგანიზებულია სათანადო წესით. სანიტარული ერთეულები შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, ხოლო საპირფარეშოების კეთილმოწყობა თანამედროვეა. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ შენობაში პანდუსებისა და ლიფტების საშუალებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, პარკინგის ადგილი განთავსებულია ისეთ ადგილას, საიდანაც შენობა ადვილად ხელმისაწვდომია. სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს კაფეტერია, სადაც გამოყოფილია დამატებითი სივრცეები პროფესორ-მასწავლებელთათვის.

კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ცენტრში მოქმედებს ,,OSCE“ 12 სადგური, რაც მთლიანად აკმაყოფილებს სტუდენტების ობიექტური შეფასების უზრუნველყოფას. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა, დაეთვალიერებინა უნივერსიტეტის მთავარ კორპუსთან გვერდით მდებარე ახალი სასწავლო კორპუსი (ჯამში, დაახლოებით, 7000 კვ/მ), რომლის მშენებლობაც უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები (სამშენებლო ფირმასთან დადებული წერილობითი შეთანხმების თანახმად, შემსრულებელი სამუშაოს სრულად შესრულებას უზრუნველყოფს, არაუგვიანეს, 2026 წლის 15 სექტემბრისა). კორპუსი მოიცავს 11-სართულიან მულტიფუნქციურ კომპლექსს (ჯამში 4500 კვ/მ-მდე) სასწავლო-კვლევითი სივრცეებით. ახალ კორპუსში გათვალისწინებულია მულტიფუნქციური სპორტული დარბაზი (დაახლოებით 1500 კვ/მ), რომლითაც სარგებლობას შეძლებენ ადგილობრივი სტუდენტები და უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სხვადასხვა სპორტული გუნდები. სპორტული დარბაზი ითვალისწინებს ფუტსალის, კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის სათამაშოდ საჭირო სტანდარტულ დარბაზს, 4 გასახდელს და 700-მდე მაყურებელზე გათვლილ ტრიბუნას. ახალი კორპუსი აღჭურვილი იქნება საკუთარი პარკინგითაც (დაახლოებით 1800კვ/მ).

2026 წლის აპრილის თვეში უნივერსიტეტმა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრთან გააფორმა მემორანდუმი, ხოლო 2026 წლის ივნისში ხელშეკრულება, რის საფუძველზეც საპატრიარქოს წმინდა იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი გახდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა (კლინიკის ფართი შეადგენს დაახლოებით 4000 კვ/მ), რომელიც სრულად არის აღჭურვილი კლინიკური სწავლებისთვის. კლინიკაში ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ჰოსპიტალის ტერიტორიაზე მდებარე დამხმარე შენობებში იგეგმება დამატებითი სასწავლო ფართების მოწყობაც. სტანდარტის კრიტერიუმების მიხედვით, მედიცინის პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში მათი აუდიტორული და კლინიკური ფართით უზრუნველყობა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7.2 საბიბლიოთეკო რესურსები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოქმედ კამპუსში განთავსებული ბიბლიოთეკა წარმოადგენს კეთილმოწყობილ სასწავლო რესურსცენტრს, რომელიც უზრუნველყოფილია სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ადგილზე ვიზიტისა და დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკა მოიცავს რამდენიმე ფუნქციურ სივრცეს, მათ შორის სამკითხველო დარბაზს, წიგნსაცავს, ინდივიდუალური მუშაობისთვის განკუთვნილ კომპიუტერებით აღჭურვილ სამუშაო სივრცეებსა და იზოლირებულ სივრცეს ჯგუფური მუშაობისთვის. ბიბლიოთეკაში დასაქმებული პერსონალი გადანაწილებულია ორივე სართულზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დროულ და ეფექტიან მომსახურებას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ბიბლიოთეკით ისარგებლონ როგორც ადგილზე, ისე გაიტანონ სასწავლო ლიტერატურა სალექციო პროცესისთვის ან სახლში გამოსაყენებლად. ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტის სხვა სასწავლო სივრცეებში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. ადგილზე ვიზიტის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს თანამედროვე ლიტერატურას, განსაკუთრებით ინგლისურენოვან სამედიცინო ლიტერატურას. ვინაიდან არ გვქონდა წვდომა სილაბუსებზე, ვერ მოხერხდა სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობის შეფასება. ამასთან, ზოგადი სამედიცინო სასწავლო და სამეცნიერო რესურსები წარმოდგენილია ელექტრონული ფორმატით, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს მათზე როგორც ადგილზე, ისე დისტანციური წვდომის შესაძლებლობით. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზები, მათ შორის UpToDate, Scopus, EBSCO და ScienceDirect, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც სასწავლო პროცესს, ისე კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას. ადგილზე ვიზიტისას ბიბლიოთეკის თანამშრომელმა დეტალურად წარმოადგინა Turnitin-ის გამოყენების პროცედურა. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასა და პლაგიარიზმის პრევენციას. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს და ოპერატიულად რეაგირებს მათ მოთხოვნებზე. ბიბლიოთეკის წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტს არაერთხელ შეუძენია დამატებითი სასწავლო ლიტერატურა, რაც ადასტურებს ბიბლიოთეკის ფონდის უწყვეტი განახლებისა და განვითარების პრაქტიკას. გარდა ძირითადი ბიბლიოთეკისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დამატებითი სამკითხველო სივრცე, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის მე-7 სართულზე და განკუთვნილია სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო საქმიანობისთვის. ამასთან, უცხოენოვან სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში ბიბლიოთეკის სამუშაო ადგილებზე მოთხოვნა იზრდება, რის გამოც მათ გამოთქვეს ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცის გაფართოების ან დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის სურვილი. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა განიხილოს ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცის გაფართოების ან დამატებითი სამკითხველო სივრცეების შექმნის შესაძლებლობა, განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში, რათა სრულად დაკმაყოფილდეს სტუდენტების გაზრდილი მოთხოვნა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სივრცეებზე. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მეშვიდე სართულზე განთავსებული დამატებითი სამკითხველო სივრცე, ინტერვიუს ფარგლებში სტუდენტებმა მაინც გამოთქვეს სივრცის სიმცირესთან დაკავშირებული უკმაყოფილება, რაც მიუთითებს არსებული რესურსის არასაკმარისობაზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში. 7.2 სტანდარტის შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ ახალი კამპუსის დასრულებისა და იქ გათვალისწინებული დამატებითი სივრცეების ამოქმედების შემდეგ, უნივერსიტეტს ექნება შესაძლებლობა ეფექტიანად მართოს გაზრდილი კონტინგენტი.

7.3 საინფორმაციო რესურსი

სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გამართულად მუშაობის მიზნით დაწესებულებაში დანერგილია რამდენიმე საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ელექტორნულ ფორმატში მართვას. სწავლების საინფორმაციო სისტემა აერთიანებს ყველა სახის ინფორმაციას სტუდენტებისა და აკადემიური პეროსონალის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებას, დაათვალიერა სტუდენტისა და ადმინისტრატორის როლით ანგარიშები, რის საფუძველზეც ნათელი გახდა, რომ მოცემულ სისტემაში სტუდენტისთვის ხელმიაწვდომია ინფორმაცია მის მიერ არჩეული კურსების შესახებ, ფინასსური დავალიანების თაობაზე. ამავე სისტემის გამოყენებით მას შეუძლია სხვადასხვა საჭიროების შემთხვევაში განცხადების დაწერა. მოცემულ სისტემაში ინახება პერსონალური ინფორმაცია სტუდენტებისა და აკადმეიური პერსონალის შესახებ, შესაბამისად

დაწესებულება უზრუნველყოფს ამ ინფორმრაციაზე წვდომას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა ადგილზე შეხვედროდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენელს. აღნიშნული სამსახურის ფუნქციეად განისაზღვრება მთლიანად საუნივერსიტეტი საინფორმაციო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის მონიტორინგი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. უნივერსიტეტში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები როგორც საკლასო ოთახებში, ასევე, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. გარდა ამისა, აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებითა და მაღალი გარჩევადობის ეკრანებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში წარმოდგენილია ანატომიური მაგიდა, რომელიც გამოიყენება მედიცინის მიმართულებით სასწავლო კურსებში. უნივერსიტეტის მთელ სივრცეში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. საინფორმაციო სამსახურთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენელი, თუმცა შინაარსის განთავსებაზე პასუხისმგებელია სხვა პირი. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი არის ორ ენოვანი და საკმაოდ ინფორმატიული. ინფორმაცია განთავსებულია იმგვარად, რომ მარტივად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესბული პირისთვის. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ახალი ინფორმაციის განთავსება მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში. სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რომელიც აერთიანებს სტუდენტთა აკადემიურ მონაცემებს, სასწავლო პროგრამებს, კურსებს, შეფასებებს, ელექტრონულ კომუნიკაციასა და სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებს. მომდინარეობს საბიბლიოთეკო რესურსის "ღია კოდის მქონე ბიბლიოთეკის მართვის პროგრამა - (ILS – Integrated Library System) - Koha" ინსტალაცია შიდა სერვერზე და მისი დანერგვის დაწყებისთვის მზადება; ასევე ფუნქციონირებს Moodle-ის პლატფორმაზე დაფუძნებული ელექტრონული ტესტირების სისტემა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის სისტემები.

7.4 ფინანსური რესურსი

ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, კერძოდ, დაწესებულების შემოსავლები სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის სახით ბოლო სამი წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება: 2024 წელს მიღებული დაახლოებით 40 მლნ ლარიდან აღნიშნული თანხა 2026 წელს გაიზარდა დაახლოებით 51 მლნ ლარამდე.

ფინანსური რესურსებით ხდება ძირითად აკადემიური ფუნქციების, კვლევებისა და ინფრასტრუქტურული განვითარების, ასევე, უნივერსიტეტის “მესამე მისიის” მხარდაჭერა. ზრდის ტენდენცია ახასიათებს უნივერსიტეტის ბიუჯეტსაც. დაწესებულებამ წარმოადგინა უნივერსიტეტის 2025 წლის და 2026 წლების ბიუჯეტები, ასევე მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის 2026 წლის ბიუჯეტი. დაწესებულების 2025 და 2026 წლების ბიუჯეტები აჩვენებს პროფიციტს და მიუთითებს, რომ სულ საოპერაციო ხარჯები მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 63%-68%-ია. 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია გრძელვადიანი ინვესტიციები, მაგალითად, ახალი სასწავლო და სპორტული კომპლექსის აღჭურვა ტექნიკა/ინვენტარით. ამ მიზნით გამოყოფილია 5,778,530 ლარი, რაც შეადგენს მთლიანი საოპერაციო შემოსავლის 11,3%-ს (სულ გრძელვადიან ინვესტიციებზე გათვალისწინებულია შემოსავლის 17.1%). გარდა ზემოთ აღნიშნულისა, როგორც დაწესებულების განაცხადშია აღნიშნული, უნივერსიტეტის ფინანსური საიმედოობა გამყარებულია პარტნიორი ბანკის მიერ გამოყოფილი 40-მილიონიანი საკრედიტო ხაზითა და პარტნიორთა მზაობით დამატებითი ინვესტირებისთვის.

უნივერსიტეტის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის მხარდაჭერაზე: სწავლებაზე, კვლევასა და ინტერნაციონალიზაციაზე. უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი (35,2%) მიმართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებაზე, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მაღალი ხარისხის პედაგოგების მოზიდვას და შენარჩუნებას. ამასთან ბიუჯეტი ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევების განვითარებას სხვადასხვა საგრანტო კონკურსისა და სამეცნიერო საქმიანობის თანადაფინანსებით.

2025 წლის განმავლობაში ინსტიტუციის ფინანსური რესურსებით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ახალი კორპუსის მშენებლობის კუთხით, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის თითქმის დასრულებული იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მისი სრული ექსპლუატაციისთვის შიდა და გარე სარემონტო სამუშაოები კვლავ გრძელდება და 2026 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტად რჩება. ამასთან, მოხდა სასწავლო გარემოს მოდერნიზაცია: მოეწყო ინოვაციური აუდიტორიები ტრანსფორმირებადი ავეჯით და ჯგუფურ მუშაობაზე ადაპტირებული სივრცეებით. 2026 წელს ჩატარდა თბილისში, ჩარგალის ქუჩაზე არსებული შენობის მეექვსე სართულის ადმინისტრაციული და სასწავლო

ფართების კაპიტალური რემონტი, უნივერსიტეტის კაფეტერია სრულად განახლდა თანამედროვე დიზაინითა და ახალი ტექნიკით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესწავლით და ვიზიტის დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტრვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში დანერგილია ფინანსური მართვისა და კონტროლის, ანგარიშვალდებულების სისტემა, კერძოდ, უნივერსიტეტში კონტროლი ერთდროულად ხორციელდება ოთხ სხვადასხვა ეტაპზე (საფინანსო სამსახური, შიდა აუდიტი, გარე აუდიტი და პარტნიორთა კრება), რაც ამცირებს სარისკო ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას. ამასთან, ბიუჯეტის გადახედვა ხდება მინიმუმ 6 თვეში ერთხელ, რათა დროულად მოხდეს კორექტირება მატერიალური ცვლილებების გამოვლენისას. ასევე, შიდა აუდიტი პერიოდულად ახორციელებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასებას და წელიწადში ერთხელ კანცლერს დეტალურ ანგარიშს წარუდგენს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი სპეციალური ონლაინ სისტემის მეშვეობით, რის საფუძველზეც მზადდება ანგარიშები და რეკომენდაციები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან, უნივერსიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლებთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუების დროს აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობდა ფინანსური აუდიტის პროცესი.

უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, საჯაროა და გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე https://ciu.edu.ge/ka/about/annual-report. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა ავტორიზაციის სტანდარტებში მითითებული ზოგიერთი ფინანსური დოკუმენტი (ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი; ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი; უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შედგენილი დასკვნები და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები; მიმდინარე ან/და წინასაანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშები). დაწესებულების მიერ დამატებით მოწოდებულ დოკუმენტაციაში მითითებული დოკუმენტები არ იძებნება. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა და სტანდარტის დაკმაყოფილების დონე შეაფასა ადგილზე დათვალიერებისა და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, ასევე, იმ დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, რაც წარმოდგენილი იყო დაწესებულების მხრიდან და რაც ხელმისაწვდომი იყო საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოფს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის შედეგად შედგენილი დასკვნებისა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების საჯაროდ ხელმისაწვდომია.

სტანდარტის ცალკეული კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით მთლიანობაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, მოემსახუროს გაზრდილ სტუდენტთა კონტინგენტს. თუმცა, მნიშვნელოვანია ჩატარებული ფინანსური აუდიტის შედეგად შედგენილი დასკვნებისა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (თვითშეფასება, ინტერვიუები, დოკუმენტები და სხვა).

- უნივერსიტეტის დებულება https://ciu.edu.ge/ka/about/university-management
- უნივერსიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიშები https://ciu.edu.ge/ka/about/annual-report
- ადგილზე ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგები
- ადგილზე ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები
- ამონაწერები რეესტრიდან
- შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზი
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები
- ინვენტარის ჩამონათვალი
- უნივერსიტეტი ვებგვერდი
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი
- მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის 2026 წლის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რეკომენდაცია 3 (კომპონენტი 7.4)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოფს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის შედეგად შედგენილი დასკვნებისა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- არ გაცემულა

დანართები (არსებობის შემთხვევაში)
ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე) ია ნაცვლიშვილი
2. სახელი, გვარი (წევრი) დავით თოფურია
3. სახელი, გვარი (წევრი) ეკატერინე ფიფია
4. სახელი, გვარი (წევრი) თინათინ გაბრიჩიძე
5. სახელი, გვარი (წევრი) გულნაზი მაღრაძე